ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

2022 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 2620,9 ათასი ლარი. მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი განკარგულებებით არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2030,8 ათასი ლარი, აქედან:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N2630 განკარგულებით 2,7 ათასი ლარი და მიიმართება გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 01 02).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით 171,7 ათასი ლარი, აქედან 168,3 ათასი ლარი მიიმართება გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 01 02) ხოლო 3,4 ათასი ლარი კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 03 01);

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით 1545,3 ათასი ლარი, საიდანაც 1210,6 ათასი ლარი მიიმართება კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისთვის (მეორე ეტაპი) ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოებზე) (პროგრამული კოდი 02 03 01) და გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებისათვის 334,7 ათასი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტიორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე (პროგრამული კოდი 02 01 02);

2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებით 290,8 ათასი ლარი და მიიმართება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 06);

2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით 3,1 ათასი ლარი და მიიმართება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 06);

2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით 17,0 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04).

2018 წლის 18 დეკემბრის N136 განკარგულებით 0,2 ათასი ლარი და მიიმართება გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 01 02).

დაკორექტირდება საბიუჯეტო სახსრების ნაშთი რომელიც დამტკიცებულ ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 550,0 ათასი ლარით და გაიზრდება 40,1 ათასით და სულ საბიუჯეტო სახსრების ნაშთის მოცულობა გახდება 590,1 ათასი, საიდანაც 40,1 ათასი მიიმართება კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 03 01), გაიზრდება სხვა შემოსავლები 6,0 ათასი ლარით, სულ ჯამში 46,1 ათასი ლარი მიიმართება ,,ბუკისციხის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შექმნის მიზნით თემის აღორძინების ხელშეწყობა" I - ეტაპის სამუშაოებისათვის.

დაკორექტირდება გრანტების მუხლი საქართველოს 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით 1569,3 ათასი ლარი და განისაზღვრება 1545,3 ათასი ლარით. გრანტები მიმდინარე დანიშნულების (სართაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული) განისაზღვროს 57,7 ათასი ლარით.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 13 277,1 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №12 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე , 22 -ე , 23-ე, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*

განკარგულება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: მ. გოგოლაძე

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N2630, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის N136 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე და მე-80 მუხლებთან და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : ზეკა შენგელია